

## 2009 წლის 13-15 მაისს გამართულ შეხვედრა-ტრენინგის შეფასება

2009 წლის 13-15 მაისს, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს (LDA Georgia) მიერ ორგანიზებულ იქნა ევროკავშირის პროგრამისაღმი “ახალგაზრდობა მოქმედებაში” მიძღვნილი საინფორმაციო შეხვედრა და 2 დღიანი ტრენინგი, რომელიც ითვალისწინებდა ევროპული ახალგაზრდული პროექტების მიმართულებებს 2007-2013 წლებში. აღნიშნული ღონისძიება განხორციელდა “ახალგაზრდობა სწორი მიმართულება” პროექტის ფარგლებში და მიზნად ისახავდა ადგილობრივი ახალგაზრდობისა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სტუდენტების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას ევროპის მოხალისეობრივი სამსახურის, ახალგაზრდობის გაცვლითი პროგრამების, ტრენინგებისა და ქსელების შექმნის შესახებ (“Youth in Action” ; “European Voluntary Service” (EVS)).

შეხვედრსა და ტრენინგს უძღვებოდნენ ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის საინფორმაციო ცენტრის ტრენერები გიორგი კაკულია და რუსუდან ყალიჩავა.

13 მაისს საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ქ.ქუთაისის აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შეხვედრას ესწრებოდნენ: ქ.ქუთაისის მერი ბატონი ნუგზარ შამუგია, ვიცე-მერი ბატონი დავიტ გორდელაძე, აკ.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბატონი გიორგი ონიანი, ქ.ქუთაისის ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის



ხელმძღვანელი ქალბატონი ხათუნა ცანავა, აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის, სამედიცინო ინსტიტუტის “ქუთაისი”, ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის სტუდენტები.

შეხვედრა გახსნა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს დირექტორმა, ბატონმა იოსებ ხახალეიშვილმა, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო შეხვედრის მიზანი.



ისაუბრა იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია აღნიშნული საინფორმაციო შეხვედრა ახალგაზრდობისათვის. მაღლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის. შეკრებილ ახალგაზრდებს მიესალმნენ მოწვეული სტუმრები და გამოთქვეს სრული მხარდაჭერა სააგენტოს პროექტებისა და საქმიანობის მიმართ.

სიტყვა მოწვეულ ტრენერებს ქალბატონ რუსუდან ყალიჩავას და გიორგი კაკულიას დაეთმო,

რომლებმაც ახალგაზრდებს წარუდგინეს პროგრამის პრეზენტაცია. თემა ყველა სტუდენტისათვის საინტერესო იყო. დაისვა რამდენიმე შეკითხვა, რომლებსაც ამომწურავი პასუხი გაეცათ ტრენერების მხრიდან.

შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა.

საინფორმაციო შეხვედრის გაგრძელება 14-15 მაისს გამართული ტრენინგი იყო, რომელიც ჩატარდა ჰუმანიტარულ ცენტრში "აფხაზეთი". ტრენინგს ქუთაისის არასამთავრობო ორგანიზაციების 18 წარმომადგენელი ესწრებოდა:



1. ნინო თვალთვაძე - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
2. თეონა გოგიშვილი-ჩხივაძე - საერთაშორისო საზოგადოება სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიისათვის
3. გიორგი ახვლედიანი - ქ. ქუთაისის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
4. თეონა ჭულუხაძე - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო
5. თემურ ცამციშვილი - აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6. ლია ზამთარაძე - სამედიცინო ინსტიტუტი "ქუთაისი"
7. ირაკლი ორბელიაძე - ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"
8. სოფო კერვალიშვილი - ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი
9. ქრისტინა ხოხიაშვილი – “თაობათა დიალოგი”
10. ზურაბ ნემსიწვერიძე - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი
11. მაკა ხეცურიანი - ასოციაცია "ქალები რეგიონის განვითარებისათვის"
12. ესმა ნაჭყებია - ფონდი "აფხაზინტერკონტი"
13. ალექსანდრე კოსტავა - საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
14. მარინე კუჭუხიძე - ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი
15. ეკა დევიძე - ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"
16. მანანა ლეშკაშვილი - ფონდი "სოხუმი"
17. ნანა კუკულავა - ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტი
18. სალომე ბებია - ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტი

ტრენინგის პირველ დღეს ტრენერებმა ისაუბრეს “ახალგაზრდობა მოქმედებაში” პროგრამის რაობასა და მნიშვნელობაზე. პრეზენტაციაზე განიხილეს პროგრამის პრიორიტეტები, მიზნები, მნიშვნელოვანი ელემენტები და ასპექტები, თუ ვისთვის და რომელი ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი პროგრამა და როგორ შეუძლია ახალგაზრდებს მიიღოს მასში მონაწილეობა. გაიმართა დისკუსიები. ყველაზე საინტერესო დისკუსია კულტურათაშორისი სწავლების მაგალითი აღმოჩნდა, რომელმაც მონაწილეთა სრული ჩართულობა და ინტერესი გამოიწვია (აბეგაელის მაგალითი).



მეორე დღეს ტრენერებმა ისაუბრეს სერვისის “ევროპის მოხალისეობრივი სამსახური” (EVS) შესახებ, რომელიც არანაკლებ საინტერესო და პროდუქტიული იყო. საუბარი იყო სერვისის პრიორიტეტებზე, კრიტერიუმებზე, სფეროებსა და თანამშრომლობაზე. სრულად და ამომწურავად განიმარტა პროგრამის რაობა, სააპლიკაციო ფორმის შევსების მეთოდები და ხერხები.

თემამ იმდენად დააინტერესა შეკრებილი ახალგაზრდები, რომ გაჩნდა უამრავი შეკითხვა, რომლებსაც ამომწურავად უპასუხეს ტრენერებმა.

ტრენინგს მეტად სახალისოს და საინტერესოს ხდიდა ის ფაქტი, რომ მთლიანი ტრენინგი გაჯერებული იყო საინტერესო მაგალითებით, კონკრეტული ჯგუფური დავალებებითა და სახალისო თამაშებით. ყველა ჯგუფი მონდომებით ასრულებდა დავალებებს და სრული აქტიურობით ერთვებოდა სწავლების პროცესში.

საბოლოო შეფასებამ აჩვენა, რომ დამსწრეთა შიში იმისა, რომ ტრენინგი მოსაწყენი და არაპროდუქტიული ყოფილიყო, არ გამართლდა. სამაგიეროდ, გამართლდა მოლოდინები, იყო ამომწურავი ინფორმაცია, მონაწილეთა მაქსიმალური აქტიურობა, ხალისი და იუმორი. ტრენინგის დასასრულს, ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი.

